

მოხმარების ინსტრუქცია

GENKORT-ის 10 მილიგრამიანი აბები

მიიღება ორალური გზით.

- **ეფექტური ნივთიერება**: ყოველი უგარსო აბი შეიცავს 10 მილიგრამ ჰიდროკორტიზონს.
- **დამხმარე ნივთიერებები**: ლაქტოზა (მიიღება ძროხის რძისგან), მიკროკრისტალიზირებული ცელულოზა, ნატრიუმის სახამებლის გლიკოლატი, პოვიდონი (K-25), პოლისორბატ 80, მაგნიუმ სტეარატი, ერითროზინი E127.

ამ პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოხმარების ინსტრუქცია, ვინაიდან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია. შემდგომში შეიძლება დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
- ვინაიდან წინამდებარე პრეპარატი პირადად თქვენთვის არის გამოწერილი, სხვა პირებისთვის მისი მიცემა დაუშვებელია.
- წინამდებარე პრეპარატის მოხმარებისას ექიმთან ან ფარმაცევტთან მიმართვის დროს, აუცილებლად აცნობეთ თქვენს ექიმს ამ პრეპარატის მიღების შესახებ.
- დაიცავით წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში აღნიშნული წესები. ექიმის მიერ დანიშნული დოზის გადაჭარბება ან შემცირება დაუშვებელია.

<u>წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში მოცემულია ქვემოთ აღნიშნული სათაურები</u>:

1. რას წარმოადგენს GENKORT-ი და რისთვის გამოიყენება?
2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება GENKORT -ის მოხმარების დაწყებამდე?
3. როგორ უნდა მოიხმაროთ GENKORT-ი?
4. რა სახის გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოიქმნას?
5. GENKORT -ის შენახვის წესები.

1. რას წარმოადგენს GENKORT-ი და რისთვის გამოიყენება?

GENKORT-ი წარმოადგენს ორალური გზით მისაღებ, ვარდისფერ, ერთი მხრიდან დაკლაკნილ, მეორე მხრიდან კი სწორ უგარსო და ორივე მხარეს ამოზნექილ აბებს. ყოველ ყუთში მოცემულია 60 აბის შემცველი 6 ცალი PVC/A1 ბლისტერი.

GENKORT-ი შეიცავს 10 მილიგრამ ჰიდროკორტიზონს. ჰიდროკორტიზომის ჰორმონი წარმოადგენს თირკმელზედა ჯირკვლების მიერ გამომუშავებულ ბუნებრივ და სტეროიდული სტრუქტურის მქონე ერთ-ერთ ჰორმონს. ჰიდროკორტიზონის ჰორმონი ცნობილია გლუკოკორტიკოიდების (სტეროიდების) სახით. GENKORT-ი წარმოადგენს სხეულში ბუნებრივად წარმოქმნილი ჰიდროკორტიზონის ჰორმონის სინთეტიკურ ვერსიას.

ჰიდროკორტიზონი გამოიყენება სხეულში მრავალი ფუნქციის დარეგულირების და ქვემოაღნიშნული დაავადებების მკურნალობისათვის განკუთვნილ პრეპარატს.

- თირკმელზედა ჯირკვლების არასაკმარისად მუშაობის შედეგად სხეულში ჰიდროკორტიზონის ჰორმონის უკმარისობის შემთხვევაში (ადრენოკორტიკალური

უკმარისობა), გამოიყენება პირველ ალტერნატიულ სამკურნალო ან მინერალოკორტიკოიდული ჯგუფის პრეპარატებთან კომბინაციის გზით.

- გამოიყენება თირკმელზედა ჯირკვლების თანდაყოლილი ჭარბი განვითარებით გამოწვეული ზრდის (თანდაყოლილი თირკმელზედა ჯირკვლების ჰიპერპლაზია) შემთხვევაში.
- გამოიყენება ორგანიზმის ფარისებრი ჯირკვლის არა ჩირქოვანი ნათებისათვის.
- გამოიყენება კიბოსთან ერთად ჰიპერკალცემიის წარმოქმნის შემთხვევაში.
- ხანმოკლე მოხმარების დროს შეხურების და პროგრესირებადი რევმატული დაავადებების დროს გამოიყენება შემდეგი მიზნებისათვის: ფსორიაზთან ერთად სახსრების ანთების, სახსრების ტკივილების და მათი ფორმის შეცვლის გამომწვევი ხანგრძლივი დაავადებების (რევმატული ართრიტის), ზურგის სახსრების გამკვრივების და მტკივნეული რევმატული დაავადებების (ანკილოზან სპონდილიტი), სახსრების მყესის მწვავე ანთების, პოდაგრის და ამ დაავადებებით გამოწვეული სახსრების ანთების და სახსრებში არსებული სითხის ანთების (ცინოვიტის) და სახსრებზე სტრუქტურების ანთების (ეპიკონდილიტის) დროს.
- გამოიყენება კანის აქერცვლის (სისტემური ლუპუსის ერითემატოზის) დროს.
- გამოიყენება შეშუპების და კუნთების დასუსტების მაგვარი კანის და კუნთების ანთების (სისტემური დერმატომიოზიტის) დროს.
- გამოიყენება რევმატიზმით გამოწვეული და გულის შიგნით წარმოქმნილი ანთებების (მწვავე რევმატული კარდიტის) დროს.
- გამოიყენება კანის შემდეგი ანთებითი დაავადებების დროს: კანის ანთებითი დაავადების (პემფიგუსის) , გლუტენზე მგრძნობელობასთან ერთად, წარმოქმნილი სითხით სავსე წყლულოვანი კანის ანთებითი დაავადებების (ბულოზური დერმატიტის ჰერპატიფორმის), კანზე და თვალის გარშემო სისხლჩაქცევების, დასიების და სიწითლის მქონე ანთებითი დაავადებების (სტივენ-ჯონსის სინდრომის), კანის აქერცვლის მაგვარი ანთებების (ექსფოლიატიური დერმატიტის), სახეზე, ხელებზე და ტანზე კანის ლიმფომის (mikozis fungoides) მწვავე ფსორიაზული დაავადებების, თმის და ბეწვის არეებში მწვავე ანთებების (სებორეული დერმატიტის) დროს.
- გამოიყენება სათანადო სტანდარტული მკურნალობის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მწვავე ალერგიული დაავადებების სურდოს ან მთელი წლის განმავლობაში არსებული ალერგიული სურდოს, ალერგიის ვაქცინური დაავადების, ახლო კავშირით გამოწვეული კანის დაავადებების, ატოპიური დერმატიტის, წამლის მიმართ წარმოქმნილი ჰიპერმგრძნობელობის დროს.
- გამოიყენება თვალებში ან თვალის არეში წარმოქმნილი შემდეგი მწვავე ალერგიული და ანთებითი დაავადებების დროს: თვალის ალერგიული ანთებები (ალერგიული კონიუქტივიტი), თვალის რქოვანის ანთება, თვალის რქოვანაში წარმოქმნილი ალერგიული იარები (რქოვანაში ანთებითი წყლული), ვირუსით გამოწვეული თვალის ანთებები (herpes zoster oftalmikus), თვალის ფერადი ნაწილის ანთებები, თვალის ბადურის და სხვა ნაწილების ანთება, თვალის წინა ნაწილის ანთებები, თვალის სისხლძარღვოვანი ფენის ანთებები, თვალის ნერვის ანთებები.

- გამოიყენება სიცხის, ნემსის თავის მაგვარი წითელი სისხლჩაქცევების, გონების გაფანტვის, თავის ტკივილის და თრომბოციტების რაოდენობის შემცირებით გამოწვეული დაავადებების (იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა), მოზარდებში წარმოქმნილი მეორადი თრომბოციტების რაოდენობის შემცირების, შემდეგი კი ავტოიმუნური (სხეულში უჯრედების მიმართ ანტისხეულების გამომუშავება) დაავადების ანემიის ერითრობლასტებად წოდებული სისხლის უჯრედების შემცირების და თანდაყოლილი ანემიის (თანდაყოლილი ჰიპოპლასტური ანემია) დროს.
- გამოიყენება მოზარდებში სისხლის უჯრედების ლიმფური კვანძების კიბოს დროს.
- გამოიყენება ბავშვური სისხლის უჯრედების კიბოს მძიმე ფორმის დროს.
- გამოიყენება წითელი მგლურით გამოწვეული თირკმელების დაავადების გამო შარდში პროტეინის დონის დადგენის დროს.
- გამოიყენება მსხვილი ნაწლავის ანთებითი იარების და ნაწლავის ადგილობრივი ანთებების (წყლულოვანი კოლიტის და ადგილობრივი ენტერიტის) დროს.
- გამოიყენება ტვინის და ზურგის ტვინის ნერვების ილეტემინის ნივთიერების შემცირების ან მისი მდგომარეობის გაუარესების შედეგად შეტევის სახით წარმოქმნილი და პროგრესირებადი ნერვების მწვავე დაავადებების (სკლეროზის) მკურნალობის დროს.
- გამოიყენება ტუბერკულოზით გამოწვეული ტვინის ქერქის ანთებების, პარაზიტებით გამოწვეული მწვავე და ფატალური შედეგის მქონე დაავადებების (ტრიქინოზი) მკურნალობის დროს.

2. GENKORT-ის მოხმარებამდე დასაცავი წესები:

ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში GENKORT-ის მოხმარება დაუშვებელია:

- GENKORT-ის ან მის შემადგენლობაში არსებული ნივთიერებების მიმართ ჰიპერმგრძნობელობის არსებობის შემთხვევაში.
- თქვენს სხეულში სისტემური (შიდა ორგანოების შემცველი) სოკოვანი დაავადების არსებობის შემთხვევაში.
- ცოცხალი ან შესუსტებული ცოცხალი ვაქცინების თქვენთვის შეყვანის შემთხვევაში, GENKORT-ის მოხმარება არ არის რეკომენდირებული

ქვემოაღნიშნულ შემთხვევებში GENKORT-ის მიღების დროს უნდა გამოიჩინოთ ყურადღება:

- კორტიკოსტეროიდული მკურნალობის ჩამტარებელი პაციენტების სტრესულ სიტუაციაში (მაგალითად, ოპერაცია, ტრავმა და ა.შ.) ყოფნის შემთხვევაში (საჭიროა კორტიკოსტეროიდების დოზის სასწრაფოდ გაზრდა).
- ჰიდროკორტიზონს შეუძლია გამოიწვიოს თქვენს სხეულში ზოგიერთი ინფექციების და სიცხის მქონე დაავადებების სიმპტომების დამალვა და ამიტომ ამ პრეპარატის მოხმარების დროს შესაძლებელია ინფექციების წარმოქმნა, ბაქტერიების, სოკოების ან პარაზიტული წარმოშობის ანთებების მკურნალობის დროს აღნიშნული ბაქტერიების ზრდა.

- აღნიშნული პრეპარატის ხანგრძლივად მოხმარების შემთხვევაში, შეიძლება წარმოიქმნას კატარაქტის, თვალის შიდა წნევის აწევის (გლაუკომის), თვალის ნერვის დაზიანების და თვალის ინფექციების მაგვარი დაავადებები.
- აღნიშნული პრეპარატის დიდი დოზით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს არტერიული წნევის აწევა (ჰიპერტონია, სხეულში სითხის და მარილების დაგროვება, შეშუპება და კალიუმის გამოყოფის ზრდა). ასეთ შემთხვევაში საჭიროა კალიუმის შემცველი დამატებითი მკურნალობის ჩატარება და მარილის მოხმარების შემცირება.
- ყველა სახის კორტიკოსტეროიდები უზრუნველყოფს სხეულიდან კალიუმის გამოყოფას.
- იმუნურ სისტემაზე მოქმედი დოზით ჰიდროკორტიზონის მიღების შემთხვევაში შეიძლება ჩატარებული იქნეს მკვდარი ან არააქტიური ვაქცინების შეყვანა და ამ შემთხვევაში შეყვანილი ვაქცინის ეფექტი შემცირდება.
- გავრცელებული და აქტიური ტუბერკულოზის დროს საჭიროა ამ პრეპარატის ტუბერკულოზის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღება. ვინაიდან გამქრალი ან ბოლო სტადიის ტუბერკულოზის დროს არსებობს ამ დაავადების ხელახლა წარმოქნის ალბათობა, აუცილებელია დაავადების რეგულარული მონიტორინგის ჩატარება. ჰიდროკორტიზონის ხანგრძლივად მოხმარების შემთხვევაში, პაციენტებისათვის საჭიროა ტუბერკულიოზისგან დამცავი მკურნალობის ჩატარება.
- ვინაიდან ჰიდროკორტიზონი გავლენას ახდენს იმუნურ სისტემაზე, მკურნალობის ჩამტარებელ პაციენტებში არსებობს ჩუტყვავილას და წითელას წარმოქმნის უფრო მეტი ალბათობა. ვინაიდან ზემოაღნიშნული დაავადებები ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამწვავდეს და გამოიწვიოს ფატალური შედეგი, ბავშვებისა და ზრდასრული პაციენტებისათვის საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა. დაავადებების გამომწვევი ჰიდროკორტიზონის დოზა, მიღების ხერხი და ვადა, აგრეთვე, პაციენტის მიერ ადრე გადატანილი დაავადებების მიერ ამ ინფექციის რისკის გაზრდის ფაქტი არ არის ცნობილი. ჩუტყვავილას წარმოქმნის შემთხვევაში, საჭიროა varicella zoster იმუნოგლობულინად წოდებული და ვირუსების წინააღმდეგ გამოსაყენებელი პრეპარატის (VZIG), წითელას წარმოქმნის შემთხვევაში კი კუნთების ინფექციის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინად წოდებული პრეპარატის (IG) მიღება.
- სტრონგილოიდის სახეობის ნაწლავის ჭიების გამომწვევი პაციენტებისათვის ჰიდროკორტიზონის მიღების დროს საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა. ვინაიდან ჰიდროკორტიზონი ასეთ პაციენტებში გავლენას ახდენს იმუნურ სისტემაზე, მან შეიძლება გამოიწვიოს ინფექციის ზრდა, მისი გამწვავება და ფატალური შედეგი ან სისხლის მოწამვლა.
- წამლის მიღებით გამოწვეული თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა შეიძლება შემცირდეს ჰიდროკორტიზონის დოზის შემცირების გზით. ეს უკმარისობა აგრეთვე შეიძლება გაგრძელდეს მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ. ამიტომ, სტრესის წარმოქმნის შემთხვევაში, ჰიდროკორტიზონი შეიძლება ჩაენაცვლოს მარილის ან მინერალოკორტიკოიდული ჯგუფის პრეპარატებით.
- ცნობილია ჰიპოტროიდის და ცეროზის მქონე პაციენტების კორტიკოსტეროიდებით განკურვნის შემთხვევები.

- თვალის ჰერპესად წოდებული ვირუსული ინფექციის მქონე პაციენტებმა მკურნალობის პერიოდში უნდა გამოიჩინონ დიდი ყურადღება, ვინაიდან ამ ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს თვალის რქოვანას დაზიანება.
- ჰიდროკორტიზონის მკურნალობის უცბად შეწყვეტა არ არის რეკომენდირებული, მისი შეწყვეტა უნდა განხორციელდეს დოზის ნელ-ნელა შემცირების გზით.
- ჰიდროკორტიზონის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს უძილობის, ხასიათის ცვალებადობის, ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების და ძლიერი დეპრესიის მაგვარი დაავადებები ან მკურნალობის დროს ზემოაღნიშნული დაავადებების გაუარესება.
- ჰიდროკორტიზონის მიღების შემთხვევაში, ნაწლავების ანთების, ნაწლავების გახვრეტის, ნაწლავების ინფექციის, ნაწლავის ოპერაციის გადამტანი, კუჭის წყლულის, თირკმელის უკმარისობის, მაღალი წნევის (ჰიპერტონიის), ძვლის გალევის, კუნთის გალევის და კუნთის სხვა დაავადებების დროს საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა. საჭიროა ჰიდროკორტიზონის მიმღები ბავშვების განვითარების მონიტორინგის ჩატარება.
- ჰიდროკორტიზონის მიმღებ პაციენტებში ამ პრეპარატმა შეიძლება გამოიწვიოს ავთვისებიანი სიმსივნის განვითარება (კაპოშის სარკომა), მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ კი ამ დაავადების გამწვავება.
- გაფანტულ სკლეროზად წოდებული დაავადების მკურნალობის დროს ჰიდროკორტიზონის მაღალი დოზის მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი ჩვენებების წარმოქმნა. ხოლო ჰიდროკორტიზონი ვერ უზრუნველყოფს დაავადების მთლიანად განკურნებას და დაავადებაზე ზემოქმედებას.
- ვინაიდან ჰიდროკორტიზონის მოხმარებით გამოწვეული გვერდითი ჩვენებები დამოკიდებულია მისი დოზის და მიღების ხანგრძლივობაზე, საჭიროა ყოველ პაციენტთან დაკავშირებით ცალკე გადაწყვეტილების მიღება და მკურნალობის ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, ამ პრეპარატის გარკვეული შუალედებით მიღება.

თუ ეს გაფრთხილებები წარსულშიც ძალაში იყო თქვენთვის, რჩევისათვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

GENKORT-ის საკვებ-სასმელთან ერთად მიღება:

GENKORT-ი უნდა მიიღოთ ჭამის დროს ან ჭამის შორის შუალედებში.

ფეხმძიმობა:

პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ხართ ფეხმძიმედ ან ძუძუთი კვებავთ ბავშვს, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს. თქვენი ექიმი მიიღებს გადაწყვეტილებას ფეხმძიმობის ან ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში GENKORT-ის მიღების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ. საჭიროების არ არსებობის შემთხვევაში, ფეხმძიმობის პერიოდში GENKORT-ის მიღება არ არის რეკომენდირებული. GENKORT-ი მოქმედებს ჩვილ ბავშვზე და აფერხებს მის განვითარებას.

თუ მკურნალობის დროს თქვენ მიხვდებით, რომ ხართ ფეხმძიმედ, დაუყოვნებლივ რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

ძუძუთი კვება:
პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
GENKORT-ის მიღების დროს ბავშვის ძუძუთი კვების შემთხვევაში ამ პრეპარატმა შეაღწიოს დედის რძეში. ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში საჭიროების არ არსებობის შემთხვევაში პრეპარატის მიღება არ არის რეკომენდირებული.

მანქანის ტარება და ხელსაწყოს მოხმარება:
GENKORT-მა შეიძლება გამოიწვიოს ვერტიგოს (ტრიალის შეგრძნების), მხედველობის დაქვეითების და/ან კუნთების მოდუნების მაგვარი სიმპტომები. ზემოაღნიშნული ნებისმიერი სიმპტომის წარმოქმნის შემთხვევაში მანქანის ტარება და ხელსაწყოს მოხმარება არ არის რეკომენდირებული.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია GENKORT-ის შემცველობაში არსებული ზოგიერთი დამხმარე ნივთიერებების შესახებ:
GENKORT-ი შეიცავს ლაქტოზას. იმ შემთხვევაში თუ თქვენმა მკურნალმა ექიმმა გაგაფრთხილათ ზოგიერთი ტკბილეულის მიმართ აუტანლობის შესახებ, ამ სამედიცინო პრეპარატის მიღებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
GENKORT-ის ყოველი აბი შეიცავს 16 მილიგრამ ნატრიუმის სახამებლის გლიკოლატს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ნატრიუმიან დიეტაზე მყოფი პაციენტების მიერ.

სხვა წამლებთან ერთად მოხმარება:
ქვემოაღნიშნულ პრეპარატებთან ერთად GENKORT-ის მიღების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს:

- ღვიძლის ფერმენტებზე გავლენის მომხდენი ფენობარბიტალის, ფენიტონის და რიფამპინის მიღების შემთხვევაში.
- სოკოვანი დაავადებების მკურნალობის დროს ტროლეანდომიცინის და კეტოკონაზოლის მიღების შემთხვევაში.
- სისხლის შემადედებელი პრეპარატების მიღების შემთხვევაში.
- ანტიკოაგულანტების (სისხლის გამათხელებელი პრეპარატების) მიღების შემთხვევაში.
- ასპირინის და სხვა არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების (სუსტი და საშუალო ხარისხის ტკივილების დროს გამოყენებული პრეპარატები) მიღების შემთხვევაში.

ამჟამად რეცეპტით გამოწერილი ან არ გამოწერილი ნებისმიერი პრეპარატის მოხმარების ან ბოლო პერიოდის განმავლობაში მოხმარების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

3. GENKORT-ის მოხმარების წესი:

- ინსტრუქციები სათანადო მოხმარების და დოზის / მოხმარების სიხშირის შესახებ:

ცალკე რეკომენდაციების გაცემამდე, დაიცავით ექიმის რეკომენდაციები.

თქვენი ექიმის მიერ ცალკე რეკომენდაციების გაცემის გარეშე, საწყის ეტაპზე ჰიდროკორტიზონის დოზა უნდა შეადგენდეს 20-240 მგ-ს თქვენი დაავადების სიმძიმის მიხედვით. დოზის დადგენა ხორციელდება მკურნალობის შედეგების მიხედვით.

თქვენი მკურნალი ექიმი თქვენი დაავადების სიმძიმის მიხედვით დაადგენს თქვენთვის საჭირო დოზას.

- მოხმარების ხერხი და მეთოდი:

აბები უნდა მიიღოთ ორალური გზით ჭამის დროს ან ჭამის შორის შუალედებში, სასურველია დილის ერთიდაიგივე საათებში.

- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები:

ბავშვებში მოხმარება:

ექიმი ადგენს ბავშვებისათვის ეფექტურ დაბალ დოზას და მეთვალყურეობას გაუწევს მათი განვითარების პროცესს.

ხანდაზმული პირების მიერ მოხმარება:

პრეპარატის მიღების დროს ექიმი რეგულარულად შეამოწმებს თქვენს მდგომარეობას და დაგინიშნავთ საჭირო დოზას თქვენი დაავადების სიმძიმის მიხედვით.

- მოხმარების განსაკუთრებული შემთხვევები:

თირკმელების და ღვიძლის უკმარისობა:

თირკმელების ან ღვიძლის უკმარისობის არსებობის შემთხვევაში, თქვენი მკურნალი ექიმი დაადგენს თქვენთვის საჭირო დოზას თქვენი დაავადების სიმძიმის მიხედვით.

თუ თქვენ შეამჩნევთ GENKORT-ის ძლიერ ან სუსტ ეფექტს, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ღებულობთ GENKORT-ს საჭიროზე დიდი დოზით:

თუ თქვენ ღებულობთ GENKORT-ს საჭიროზე დიდი დოზით, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ღებულობთ GENKORT-ს საჭიროზე დიდი დოზით, მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

მიუღებელი დოზის ანაზღაურების მიზნით ორმაგი დოზის მიღება დაუშვებელია.

თუ თქვენ დაგავიწყდათ GENKORT-ის მიღება:

დავიწყებული დოზის ასანაზღაურებლად ორმაგი დოზის მიღება არ არის რეკომენდირებული.

უნდა დაელოდეთ და შემდეგი დოზა მიიღოთ დადგენილ დროს. დავიწყებული დოზის ასანაზღაურებლად ორმაგი დოზის მიღება დაუშვებელია. რჩევისთვის დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

GENKORT-ის დასრულების შემდეგ შესაძლო ჩვენებებით:

GENKORT-ის აბების უცაბედად შეწყვეტა არ არის რეკომენდირებული. ექიმი ნელ-ნელა შეამცირებს თქვენს მიერ მისაღებ დოზას. GENKORT-ის დოზის უცაბედად შემცირება დაუშვებელია (მაგალითად, ამან შეიძლება გამოიწვიოს არტერიული წნევის მკვეთრი დაცემა). პრეპარატის მიღების შეწყვეტასთან ერთად, შეიძლება წარმოიქმნას ისეთი სახის რეაქციები, როგორიცაა სიცხე, კუნთების ან სახსრების ტკივილი. თქვენი ექიმი ან ფარმაცევტი მოგცემთ რჩევას აბების რაოდენობის შემცირების შესახებ.

4. როგორია შესაძლებელი გვერდითი ჩვენებები?

ისევე, როგორც ყველა წამალი, GENKORT-ის მიმღებ ზოგიერთ პაციენტებს შეიძლება წარმოექმნათ გვერდითი ჩვენებები. ზოგიერთ პაციენტს შეიძლება არ წარმოექმნას გვერდითი ჩვენებები.

ქვემოთ აღნიშნული ერთ-ერთი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს ექიმს ან მიმართეთ თქვენთვის უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებას:

- კუჭნაწლავის წყლულის გახეთქვის ან სისხლდენის, მუცლის ტკივილის (განსაკუთრებით, ზურგზე გავრცელების შემთხვევაში), ანუსში სისხლდენის, შავი ან სისხლიანი განავალის და/ან სისხლით ღებინების შემთხვევაში.
- პანკრეატული ანთების, პირღებინებასთან ერთად ზურგზე გადასული მუცლის ტკივილის, შოკის და გონების დაკარგვის შემთხვევაში.
- სუნთქვის გაძნელების, სასუნთქი მილის ან ყელის გადაკეტვის შეგრძნების, კანის სიწითლის და ჰიპერგრძნობელობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული ჩვენებები წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ გვერდით ჩვენებებს. ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, ეს იმის მაჩვენებელია, რომ GENKORT-ი თქვენში იწვევს ალერგიას.

ამ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს სამედიცინო ჩარევა ან საავადმყოფოში დაწოლა.

გვერდითი ჩვენებები მათი სიხშირის მიხედვით იყოფა ქვემოთ აღნიშნულ კატეგორიებად:

ძალიან გავრცელებული: შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან სულ მცირე ერთს.

გავრცელებული: შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 100 პაციენტიდან ერთზე მეტს.

არ გავრცელებული: შეიძლება წარმოექმნას 100 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 1.000 პაციენტიდან ერთზე მეტს.

იშვიათი: შეიძლება წარმოექმნას 1.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს.

ძალიან იშვიათი: შეიძლება წარმოექმნას 10.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს.

გავრცელებული გვერდითი ჩვენებები:

- მუცლის დაჭიმულობა
- საყლაპავი მილის ანთება.
- ჭრილობის შეხორცების შეფერხება.
- ძვლის განლევა.

უცნობი:

- ძირითადად წარმოიქმნება ქალებში ქუშინგის სინდრომად წოდებული დაავადების სახით.
- ბავშვებში განვითარების შეფერხება.
- სტრესი.
- ტრავმა.
- ოპერაციით ან დაავადებით გამოწვეული თირკმელზედა ჯირკვლების და ჰიპოფიზიის ჯირკვლის უკმარისობა.
- მენსტრუალური ციკლის არევა.
- შაქრის დაავადების წარმოქმნა.
- ინსულინის და სხვა დიაბეტური პრეპარატების მიღების საჭიროების გაზრდა.
- ჭარბი ოფლიანობა.
- კარბონჰიდრატის მიმართ ამტანიანობის შემცირება.
- სხეულიდან პროტეინების გამოყოფით გამოწვეული ნიტროგენების უარყოფითი ბალანსი.
- თვალის უკანა ნაწილში ფარდის (კატარაქტის) წარმოქმნა.
- თვალის შიდა წნევის ზრდა.
- თვალის კაკლების გადმოყრა.
- თვალის დაავადება (გლაუკომა).
- თვალის დისკის შეშუპებით გამოწვეული შიდა ქალის წნევის ზრდა.
- კრუნჩხვები.
- თავბრუსხვევა.
- თავის ტკივილი.
- მგრძნობიარე პაციენტებში გულის უკმარისობა.
- მაღალი წნევა.
- კანის გათხელება და დასკდომა.
- კანის წერტილოვანი ჩაქცევები.
- კანის დაჩირქება.
- სილურჯე.
- სახის სიწითლე.
- კანის ტესტირების შედეგებზე გავლენის მოხდენა.
- კუნთების მოდუნება.
- სტეროიდების გამოყენებით გამოწვეული კუნთების დაავადებები (მიოპათია).
- კუნთის მასის შემცირება.

- კუნთის გაწყვეტა.
- ხერხემლის ძვლების მოტეხილობა.
- გრძელი ძვლების მოტეხილობა.
- ხელ-ფეხის ძვლების დაბოლოებების უჯრედების გათიშვა.
- ინფექციების დამალვა.
- ლატენტური (ფარული) ინფექციების გააქტიურება.
- ოპორტუნისტული ინფექციები.
- სხეულში ნატრიუმის და სითხის დაგროვება.
- სხეულიდან კალიუმის გამოყოფა.
- სხეულში მჟავიანობის ბალანსის დარღვევა.
- ღვიძლის ფერმენტების - ალანინ ტრანსამინაზის (ALT,SGPT), ასპარტატ ტრანსამინაზის (AST,SGOT) და მჟავის ფოსფატაზის კოეფიციენტის ზრდა.

ნებისმიერი ზემოაღნიშნული სიმპტომის წარმოქმნის შემთხვევაში, ამის სესახებ ავნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

<u>გვერდითი ჩვენებების მოხსენება</u>

წინამდებარე ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. გარდა ამისა, წარმოქმნილ გვერდით ჩვენებებთან დაკავშირებით შეგიძლიათ დააკლიკოთ www.titck.gov.tr ვებ გვერდზე არსებულ „წამლების გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების“ ლინკს ან დარეკოთ 0 800 314 00 08 ნომერზე თურქეთის ფარმაკოლოგიური ზედამხედველობის ცენტრში (TÜFAM) და აცნობოთ გვერდითი ჩვენებების შესახებ. წარმოქმნილი გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების დატოვების შემდეგ, თქვენ მოგეწოდებათ უფრო მეტი ინფორმაცია თქვენს მიერ მოხმარებული პრეპარატის უსაფრთხოების შესახებ.

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ერთ-ერთი ზემოაღნიშნული გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

5. GENKORT-ის შენახვა:

შეინახეთ GENKORT-ი ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელ ადგილზე თავის შეფუთვაში.

შეინახეთ პრეპარატი 25^{0}C-ზე ნაკლები ტემპერატურის პირობებში ორიგინალ შეფუთვაში.

პრეპარატი დაცული უნდა იყოს სინათლისგან და ნესტისგან. მისი გაყინვა არ არის რეკომენდირებული.

პრეპარატი მოხმარებული უნდა იქნეს მისი ვარგისიანობის ვადის შესაბამისად.

შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ GENKORT-ის მოხმარება დაუშვებელია.

ვადაგასული ან გამოუყენებელი პრეპარატების ნაგავში ჩაგდება არ არის რეკომენდირებული! გადაეცით პრეპარატები გარემოს დაცვის და ურბანიზაციის სამინისტროს.

ლიცენზიის მფლობელი: სს „გენ ილაჩ ვე საღლიქ ურუნლერი სანაი ვე თიჯარეთ“-ი

მუსტაფა ქემალის უბანი, მე-2119 ქუჩა N3, ბინა N2-3, 06520, ჩანქაია / ანკარა.

ტელეფონი: +90 (312) 219 62 19
ფაქსი: +90 (312) 219 60 10

წარმოების ადგილი: სს „გენ ილაჩ ვე საღლიქ ურუნლერი სანაი ვე თიჯარეთ“-ი
ASO 2 და 3, ორგანიზებული სამრეწველო დასახლება, ალიჯის ორგანიზებული სამრეწველო დასახლების უბანი, მე-2013 გამზირი N24, სინჯანი / ანკარა.

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია დამტკიცებულია 27.07.2020 წელს.

210000271-A